ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 ოქტომბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 17

2022 წლის 21 ოქტომბერი

დაბა ხარაგაული **9 აპრილის ქუჩა #15**

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკი კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე (სათათბირო ხმის უფლებით, შვებულებაში ყოფნის გამო), შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, ვახტანგი ტალახაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 22 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი -მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ვლადიმერ გელაშვილი მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლ. კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

მ. შარიქაძე -- საკრებულოს აპარატის დამხმარე მოსამსახურე

საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები:

ე. შავიძე - ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორი,

მ. ბაბლიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის იაპონიის საელჩოსაგან გრანტის მისაღებად თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 21 წევრი

მომხრე 21

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზ (თან ერთვის).

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურ ცენტრისათვიაის საგამომცემლო საქმიანობისათვისს 10 300 ლარის გამოყოფის თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 21 წევრი

მომხრე 20

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 1

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნა